საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუმფარა

დუმფარა თეთრი (Nymphaea alba)

დუმფარა კოლხური (Nymphaea colchica)

დუმფარა (Nymphaea), წყლის მცენარეთა გვარი დუმფარასებრთა ოჯახისა.

მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარეები, აქვთ გრძელყუნწიანი, წყალზე მოტივტივე ფოთლები და ნაირფერი (უფრო ხშირად ყვითელი, თეთრი) დიდი ყვავილები.

40-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. საქართველოში 2 სახეობაა: თეთრი დ. (N. alba), რ-იც გვხვდება ქართლსა და თრიალეთში, კოლხური დ. (N. colchica) – გავრცელებულია აფხაზეთში.

იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე ჭაობებში, ტბებსა და მდორე მდინარეებში. დ-ს ნაყოფი კენკრაა, ხორცოვანი, წყლის ქვეშ მწიფდება. ფესურა ვარგისია საკვებად. ძირითადად დეკორ. მცენარეა.

მ. გურგენიძე